დანართი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის დასკვნა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, განათლების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომისიის 2018 წლის 23 მარტის N1 აქტის საფუძველზე კომისიამ მიიღო დასკვნა:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ (შემდგომში-მერია):

ა) ბაღების და ბაგა-ბაღების რეაბილიტაციის და მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას ერთ-ერთ სატენდერო პირობად განსაზღვროს ,,ტექნიკური რეგლამენტის – ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 27 ოქტომბერის №485 მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

ბ) ა(ა)იპ მომავლის სტრუქტურულ ერთეულებში ცხრილი N1, N2, N3 გათვალისწინებით წარმოადგინოს შენობა-ნაგებობისა და ინფარსტრუქტურული ობიექტების ეტაპობრივი რეაბილიტაციის გეგმა მიმდინარე წლის 01 ოქტომბრამდე.

გ) მიმდინარე წლის 01 ივლისამდე წარმოადგინონ წინადადებები იმ ბაღებისა და ბაგა-ბაღების (ერკეთი, ჯვარცხმა, N2 ბაგა-ბაღი) გაზიფიკაციასთან დაკავშირებით რომლებშიც დამონტაჟებულია გაზის გაყვანილობა.

დ) უზრუნველყოს კოხნარისა და ბასილეთის საბავშვო ბაღებში უხარისხოდ ჩატარებული სარეაბილიტაციო სამუშაოების გამოსწორება, სამი თვის ვადაში მიმწოდებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების გარანტიის ვადის საფუძველზე.

ე) ბაღებში და ბაგა-ბაღებში შეისწავლოს სახანძრო უსაფრთხოების საკითხები და დაწესებულებები უზრუნველყონ, პირველადი სახანძრო დახმარების საშუალებებით (სახანძრო სტენდი, ცეცხლმაქრი და სხვა).

ვ) მთავრობის ნორმატიული აქტით აღმზრდელ-პედაგოგის ანაზღაურების საბაზო ზღვრული ოდენობის განსაზღვრამდე წარმოადგინოს წინადადებები, ა(ა)იპ ,,მომავლის“ თანამშრომელთა ხელფასების მატებასთან დაკავშირებით.

ზ) ზომლეთში ახალი საბავშვო ბაღის გახსნისთვის ადგილობრივ ბიუჯეტში დამატებით გამოყოს საბიუჯეტო ასიგნებები.

თ) მიმდინარე წლის 01 აგვისტომდე შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის მიერ შეამოწმოს ა(ა)იპ მომავლის საქმიანობა.

ი) უზრუნველყოს ა(ა)იპ მომავლის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის და ამ აღნიშნული დასკვნიდან გამომდინარე 2018 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების პროექტის წარმოდგენა.

კ) მომავალი წლების ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას გაითავლისწინოს საკრებულოს აღნიშნული მოთხოვნები.

ლ) ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, წარმოაგინოს წინადადებები სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მართვასთან დაკავშირებით, კერძოდ კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული თუ ამ მიზნით დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ და ა(ა)იპ მომავლის ხელმძღვანელობამ:

ა) ,,ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული დადგენილებები გააცნოს ა(ა)იპ მომავლის თანამშრომლებს და აღნიშნული დადგენილებების აღსრულებისათვის სათანადო წინადადებები წარუდგინოს საკრებულოს მიმდინარე წლის 01 ოქტომბრამდე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობასა და ა(ა)იპ მომავლის წესდებასთან შესაბამისობაში მოიყვანონ ბაღებში და ბაგა-ბაღებში ბავშვების ჯგუფებში დაკომპლექტების წესი და ა(ა)იპ მომავლის სტრუქტურულ ერთეულების თანამშრომელთა საშტატო ნუსხა.

გ) უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მეტყველების დარღვევათა კორექციის სამედიცინო მომსახურება ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში თანაბრად.

დ) საბავშვო ბაღები და ბაგა-ბაღები, ეტაპობრივად უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსით. (წიგნები, თვალსაჩინოებები, სათამაშოები და სხვა.)

ე) უზრუნველყონ აღმზრდელ-პედაგოგთა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში მომუშავე პერსონალის გადამზადება. გადამზადებისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული იქნეს ა(ა)იპ მომავლის ბიუჯეტში.

3. ა(ა)იპ მომავლის ხელმძღვანელობამ:

ა) საქართველოს კანონმდებლოსბისა და ა(ა)იპ ,,მომავლის" წესდების შესაბამისად ბაღებსა და ბაგა-ბაღებში, აღსაზრდელები მიიღონ და კვების რაციონი განსაზღვრონ სამართლებრივი აქტებით.

ბ) საქართველოს კანონმდებლობისა და ა(ა)იპ მომავლის წესდების შესაბამისად მიმდინარე წლის ბოლომდე უზრუნველყოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში საკონსულტაციო საბჭოების შექმნა.